საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

# დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030665144410220

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

**#06/2567** **08 / ივნისი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსს, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელს ქალბატონ თინათინ ხარძიანს

ქალბატონო თინათინ,

სსიპ ლ.საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში განხილულ იქნა თქვენი 2.06.2020წლის #01/5818 რეზოლუციით შემოსული კორესპოდენცია, რომელიც ეხება COVID-19-ის პანდემიაზე რეგირების მიზნით ესტონეთი მთავრობის მიერ ჰუმანიტარული დახმარების სახით გამოყოფილ ხელის ჰიგიენური დამუშავებისათვის "HandDesLiquid"-ის (3000 ერთეული (0.5 ლიტრი ბოთლი, მწარმოებელი: Nordic Group OU, Estonia)) გამოყენების სფეროსა და და ბაქტერიოციდული ეფექტის შესწავლას, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს.

ბაქტერიებისა და ვირუსების ეროვნული საცავის ლაბორატორიაში შემოწმებულ იქნა სადეზინფექციო საშუალება "HandDesLiquid"-ის ბაქტერიოდიცული ეფექტი E.coli ATCC25922, E. hirae ATCC 10541, S. aureus ATCC 25923, და P.aeruginosa ATCC 27853 შტამებით. სადეზინფექციო საშუალება მითითებული ექსპოზიციით უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული მიკრობების გაუვნებლობას და შესაძლებელია მისი გამოყენება მეთოდური რეკომენდაციის შესაბამისად.

მწარმოებელი კომპანიის „Nordic Group OU, Estonia" ინფორმაციით საშუალება "HandDesLiquid"-ის გამოყენების სფეროა სამედიცინო პროფილაქტიკური დაწესებულებები, კერძოდ განკუთვნილია ხელის ჰიგიენური დამუშავებისათვის. საჭიროა გამოყენებისათვის მზა სითხე ხელებზე დატანილ იქნეს 3-3 მლ-ის რაოდენობით, უნდა დამუშავდეს ხელები 30წმ-ის განმავლობაში, ხოლო ექსპოზიციის ხაგრძლივობაა 3წთ.

**ჰიგიენური დასკვნა**

კომპანია „Nordic Group OU, Estonia"-ის მიერ წარმოებული "HandDesLiquid" წარმოადგენს სადეზინფექციო საშუალებას, რომელიც განკუთვნილია კანის ჰიგიენური დამუშავებისათვის, მწარმოებლის მეთოდური რეკომენდაციის შესაბამისად სამედიცინო -პროფილაქტიკური დანიშნულების დაწესებულებებში.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

ირმა ხონელიძე